



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ერნი ნიკოლოზ ფრანცის ძე

ერნი ნიკოლოზ ფრანცის ძე (6. XII. 1879, თბილისის გუბერნია, – 19. VII. 1972, ასუნსიონი, პარაგვაი), რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი (1917), გერმანულ კოლონისტთა შთამომავალი. დაამთავრა თბილ. მე-2 გიმნაზია, ელიზავეტგრადის საკავალერიო იუნკერთა სასწავლებელი და გენშტაბის ნიკოლოზის აკადემია. 1916 მეთაურობდა სევერსკის (სომხეთი) დრაგუნთა მე-18 პოლკს. მონაწილეობდა I მსოფლიო ომსა (1914–18) და რუს. სამოქალაქო ომში (თეთრი მოძრაობა). შემდეგ ემიგრაციაში წავიდა პარაგვაიში, სადაც იყო სამხ. აკად. პროფესორი, პარაგვაის არმიის გენ.-ლეიტენანტი (დაახლ. 1930).

*მ. გოგიტიძე*

---